

DentoTemp

დროებითი ცემენტი

ევგენოლის არშემცველი, აკრილი- ურეთანის პოლიმერის ბაზაზე შექმნილი დროებითი ცემენტი. შემუშავებულია სპეციალურად იმპლანტატის რესტავრაციებისთვის

ჩვენება

- დროებითი გვირგვინებისა და ხიდების საიმედო და სწრაფი დროებითი ცემენტირება.
- იმპლანტირებული გვირგვინებისა და ხიდების მუდმივი ცემენტირება.

თვისებები

- DentoTemp უნიკალურია. იგი განსხვავდება ბაზარზე არსებული სხვა დროებითი ცემენტისგან. ევგენოლის არშემცველი დროებითი ცემენტების უმეტესობა ნაერთებია, რომლებიც შეიცავენ თუთიის ოქსიდსა და ეთერზეთს. აღნიშნულ მასალებს აქვთ ბევრი შეზღუდვა, როგორცაა გასუფთავების სირთულე, მუდმივი ცემენტის პოლიმერიზაციის შეფერხება და დაბალი საწყისი სიმტკიცე.
- DentoTemp არ შეიცავს ეთერზეთსა და თუთიის ოქსიდს, შესაბამისად, იგი არ აზიანებს დროებით გვირგვინებს და არ აფერხებს მუდმივ ცემენტირებას. DentoTemp-ის უნიკალური 2-ეტაპიანი პოლიმერიზაცია უზრუნველყოფს სწრაფ და მარტივ გასუფთავებას.
- DentoTemp სრულად თავსებადია როგორც აკრილის, ასევე კომპოზიტურ (Bis-Acryl) დროებით მასალებთან და აღნიშნულია ბუნებრივ და მეტალის იმპლანტზე.
- გარდა იმისა, რომ მრავალმხრივი დროებითი ცემენტია, DentoTemp იდეალურია იმპლანტირებული გვირგვინების მუდმივი ცემენტირებისთვის. DentoTemp უზრუნველყოფს ადვილ ცემენტირებას და მაღალ შეკავებას.
- დაბალი ხსნადობა პირის ღრუს სითხეებში უზრუნველყოფს შეკავების ძლიერ უნარს.
- პრაქტიკულად არ აქვს გემო და სუნი პაციენტის კომფორტისთვის.

ინსტრუქციები

DentoTemp -ის შერევა:

- 1) თანაბარი ოდენობის საბაზისო მასალა და კატალიზატორი დაიტანეთ შესარევ დაფაზე.
- 2) კარგად აურიეთ შესარევი შპატელის გამოყენებით 20-30 წამის განმავლობაში.

დროებითი გვირგვინების ცემენტირება:

დროებითი გვირგვინის ცემენტირებამდე შეამოწმეთ მორგება, ოკლუზია, პროქსიმალური კონტაქტები და დაასრულეთ ყველა პროცედურა.

- 1) გააშრეთ და მოახდინეთ პრეპარირებული კბილის იზოლირება. სრული გამრობა არ არის სავალდებულო, თუმცა აშკარა დაბინძურება თავიდან უნდა იქნას აცილებული
- 2) უზრუნველყავით დროებითი გვირგვინის შიდა ნაწილის სიმშრალე და სისუფთავე. შერეული ცემენტი დაიტანეთ პირდაპირ დროებით გვირგვინში. სამუშაო დრო შეადგენს 45-60წმ.
- 3) დაუყონებლივ მოათავსეთ გვირგვინი, დაამაგრეთ ან პაციენტმა ფრთხილად დააჭიროს კბილი ბამბის ტამპონზე პირველად გამყარებამდე 90-120 წამის განმავლობაში. პირველადი გამყარება ხასიათდება მკაფიო ელასტიური ეტაპით (distinct rubbery stage), რა დროსაც შესაძლებელია ზედმეტი ცემენტის ადვილად მოშორება კბილის ზონდის ან პერიოდონტალური ზონდის გამოყენებით.
- 4) მოაშორეთ ზედმეტი ცემენტი. ფრთხილად გამოიყენეთ კბილის ზონდი კბილთაშორის (ინტერპროქსიმალური) სივრცეში ზედმეტი ცემენტის მოსაშორებლად აღნიშნულ უბნებში. უმეტეს შემთხვევაში, ზედმეტი ცემენტის მოშორება ძალიან ადვილია, იგი შორდება „როგორც წესი, დიდ ნაწილებად.
- 5) საბოლოო გამყარება ხდება 4-5 წუთის განმავლობაში, პირობების გათვალისწინებით.

შენიშვნა:

ახლად განთავსებულ შტიფტზე დროებითი გვირგვინის ცემენტირებისას ჩვენ გირჩევთ შტიფტს ძალიან თხლად წაუსვით წყალში ხსნადი საპოხი მასალა წებვადობის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული ეტაპი არ არის ნამდვილად აღნიშნული, თუმცა გარკვეული ბრენდის კომპოზიტის მასალის ზოგიერთი ნაწილი შეიძლება იყოს არაპოლიმერიზებული გამყარებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს წებვადობა.

მუდმივი იმპლანტირებული გვირგვინების ცემენტირება:

იმპლანტზე მუდმივი მეტალის/ კერამიკა-მეტალის გვირგვინების ცემენტირების პროცედურა იდენტურია დროებითი გვირგვინის ცემენტირებისა. არ არის რეკომენდირებული ტიტანის დამუშავების აგენტის გამოყენება ცემენტირებამდე. თუ გვირგვინის მოხსნა აუცილებელია, საკმარისი იქნება გვირგვინის მოსახსნელის (hammer type crown remover) გამოყენება.

სიფრთხილის ზომები:

მიუხედავად იშვიათი შემთხვევებისა, ზოგიერთი პაციენტი შეიძლება იყოს მგრძობიარე ამ პროდუქტის მიმართ. თუ გამოვლინდა ალერგიული რეაქცია, შეწყვიტეთ პროდუქტის გამოყენება, მოაშორეთ პაციენტის პირის ღრუდან და მიმართეთ ექიმს. ერთჯერადი გამოყენების წვეროები.









შემადგენლობა:

- Bis-GMA;
- HEMA
- TEGDMA
- სილიკონი - სხვა ნივთიერებები

შენახვის პირობები

- ოპტიმალური სიახლისთვის შეინახეთ მაცივარში.* (ტემპერატურა არაუმეტეს 24°C-ზე)
- თუ შპრიცი მაცივარშია, გამოყენებამდე უნდა მოათავსოთ ოთახის ტემპერატურაზე.
- განკუთვნილია მხოლოდ სტომატოლოგიური გამოყენებისთვის.

სიმბოლოები

	შეინახეთ მშრალ ადგილას
	იხილეთ ინსტრუქციები
REF	საცნობარო ნომერი
	მწარმოებელი
	მოარიდეთ მზის სინათლეს
	ტემპერატურის შეზღუდვა
LOT	სერიის ნომერი
MD	სამედიცინო მოწყობილობა
	შენახვის ვადა
Fix Only	მხოლოდ რეცეპტით გამოყენებისთვის
	გამაღიზიანებელი
	ერთჯერადი გამოყენების წვეროები

მწარმოებელი:

ITENA

www.itena-clinical.com

ქორე კლემენსოს გამზ. 31

93420 ვილპენტი – საფრანგეთი

ტელ. : +33 (0)1 45 91 61 40

ინდ.7-09/2020